ქალაქ თბილისის მთავრობის

დადგენილება №26.01.1232

2010 წლის 28 სექტემბერი

ქ. თბილისი

დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებისათვის საფასურის დადგენის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 23[1] მუხლის „ა“ პუნქტისა და 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ,,ქ. თბილისში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 2008 წლის 3 აგვისტოს №9-48 გადაწყვეტილების საფუძველზე, ქ. თბილისის მთავრობა **ადგენს:**

1. ქ. თბილისის ტერიტორიაზე მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრიდან დადგინდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასური, დროის მონაკვეთის მიხედვით:

ა) 1 კვირა – 4 ლარი;

ბ) 6 თვე –25 ლარი;

გ) 1 წელი – 50 ლარი.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასური გადახდილად ითვლება:

ა) 1 კვირის შემთხვევაში – მომდევნო 7 დღის განმავლობაში, გადახდის დღის ჩათვლით;

ბ) 6 თვის შემთხვევაში – გადახდის დღიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, იმავე რიცხვის ჩათვლით, რომელშიც მოხდა საფასურის გადახდა;

გ) 1 წლის შემთხვევაში – გადახდის დღიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე;

დ) გადახდილი პარკირების საფასურის ვადის ამოწურვამდე ამ დადგენილების პირველი პუნქტის ,,ა“, ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, პარკირების საფასურის წინასწარ გადახდის შემთხვევაში გადახდის დღედ მიიჩნევა ანგარიშსწორების განხორციელების დღე, ხოლო მისი აქტივაცია (ვადის ათვლა) მოხდება წინა პერიოდის პარკირების საფასურის ვადის ამოწურვის შემდეგ.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება №29.12.1324 - სსმ V, №45, 29.10.2010 წ., მუხ.1339

3. დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის საფასურის გადახდა განხორციელდეს ოპერატორის მიერ შერჩეულ კომერციულ ბანკში ან ელექტრონული გადახდის საშუალებებით.

4. თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებაზე საფასური გადახდილია წინამდებარე დადგენილების ამოქმედებამდე, გადახდილი საფასურის ვადის ამოწურვამდე ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე არ ვრცელდება წინამდებარე დადგენილების მოქმედება.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2010 წლის პირველი ოქტომბრიდან.

ქ. თბილისის მერი გ. უგულავა

შეტანილი ცვლილებები:

1. ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება №29.12.1324 - სსმ V, №45, 29.10.2010 წ., მუხ.1339